

გიგო გაბაშვილის გამოფენა „თიბისი გალარეაში“

„ქართული მხატვრობის“ მე-2 ალბომი გიგო გაბაშვილს ეძღვნება

21 ნოემბერს, 19:00 საათზე, თიბისი გალერეაში გიგო გაბაშვილის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნება. გამოფენაზე მოხდება პროექტის „ქართული მხატვრობა“ მეორე წიგნის „გიგო გაბაშვილი“ პრეზენტაცია.

თიბისი გალერეაში სახელოვანი მხატვრის ექსპოზიცია მის დაბადების დღეს ემთხვევა - გიგო გაბაშვილი 21 ნოემბერსაა დაბადებული. მომავალი წელი კი მხატვრისთვის საიუბილეოა: გაისად გიგო გაბაშვილის 150 წლის იუბილე აღინიშნება.

თიბისი გალერეაში მოსულ დამთვალიერებელს მხოლოდ 6 დღის განმავლობაში ექნება საშუალება, იხილოს მხატვრის მიერ სხვადასხვა შემოქმედებით ეტაპზე შექმნილი ტილოები, რომელთაგან უმრავლესობა კერძო კოლექციებში ინახება, ნაწილი კი თიბისი ბანკშია დაცული.

გიგო გაბაშვილის შემოქმედებას ქართულ მხატვრობაში უმნიშვნელოვანესი როლი და ადგილი უკავია. ის იყო ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. გაბაშვილმა პირველმა დაამკვიდრა მხატვრობაში ეროვნული თემატიკა, საფუძველი ჩაუყარა ძირითადი ფერწერული ჟანრების განვითარებას.

ცნობისათვის: 2006 წელს, სოთბის აუქციონზე გაბაშვილის ფერწერული ტილო, რომელიც ამერიკელი მილიონერის ჩარლზ კრენმის კოლექციაში იყო დაცული, 1 მილიონ 136 ათას დოლარად გაიყიდა.

პროექტი „ქართული მხატვრობა“, რომელიც გულისხმობს ყველა დროის გამოჩენილი ქართველი მხატვრების ალბომების სერიის გამოცემას, ხორციელდება ქარჩხაძის გამომცემლობის მიერ, თიბისი ბანკსა და ჟურნალ „ტაბულასთან“ ერთად.

პროექტის ფარგლებში თიბისი გალერეაში უკვე შედგა ქართველი ფერმწერის, ავთო ვარაზის პერსონალური გამოფენა და პირველი ალბომის „ავთო ვარაზი“ პრეზენტაცია. თიბისი გალერეა გააგრძელებს გამოფენათა ციკლს და ყოველი ახალი ალბომის კვალდაკვალ, ყოველთვიურად შედგება ცნობილი ქართველი მხატვრების გამოფენები.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიღერი ტექნოლოგიების ბაზარზე
- ◆ თიღერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრა-თანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3